



პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 9 20 0001245929



31/12/2020

„სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 15 ნოემბრის N09 გადაწყვეტილების დანართი N1-ში და ჩამოყალიბდეს ამ გადაწყვეტილებაზე თანდართული დანართ N1-ის შესაბამისად.
2. ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად საბჭოს 2020 წლის 31 დეკემბრის №1245486 სხდომის ოქმის №8 ნაწილი (დანართი №2).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2) ცენტრის ვებგვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლორია ხათუნა



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
კასრაძე იზა

